შპს „ჯი 2 ჯგუფი“

დიზელის სამარაგო ავზებისა და გასამართი სვეტის მოწყობა-ექსპლუატაციის

(სამტრედია, სოფ. იანეთი)

სკრინინგის განაცხადი

სამტრედია 2021

შინაარსი

1. შესავალი 3

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა 4

3. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური პარამეტრები 8

4. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში 11

4.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება 11

4.2. საწარმო ხმაურის ზემოქმედება 12

4.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე 12

4.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე 12

4.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები 13

4.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე 13

4.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე .. 13

4.8. სოციალურ ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება 14

4.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე 14

4.10. ავარიული რისკები 14

4.11. კუმულაციური ზემოქმედება 16

4.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება 16

დ ა ნ ა რ თ ე ბ ი 17

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 18

დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება 20

1. შესავალი

შპს „ჯი 2 ჯგუფი“ (ს/კ 406294549), წარმოადგენს სამშენებლო კომპანიას, რომელიც ასრულებს სამუშაოებს სახელმწიფო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის სამტრედია-გრიგოლეთის მონაკვეთზე (კმ 0+000 - კმ 11 + 500 დარჩენილი სამუშაოების მშენებლობა). პროექტის მიზნებისათვის, სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული ტექნიკის გამართვის მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იანეთში, შპს „იქსენეჯი“-საგან იჯარით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 34.07.47.168. (დანართი 1)) დაგეგმილი გვაქვს დიზელის ავზების განთავსება-ექსპლუატაცია.

რადგან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, იგივე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
ოპერატორი კომპანია	შპს „ჯი 2 ჯგუფი“
საიდენტიფიკაციო კოდი	406294549
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ.თბილისი ცინცაძის ქ. N26
საქმიანობის განხორციელების მისამართი მისამართი	სამტრედია, სოფ. იანეთი
საქმიანობის სახე	დიზელით სამარაგო ავზების განთავსება/ექსპლუატაცია
დირექტორი	ალექსი გელაძე
საკონტაქტო ტელეფონი	593 25 55 58
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
პროექტის განხორციელების ადგილი	სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. იანეთი
განთავსების ადგილი	შპს „იქსენერჯი“-საგან იჯარით აღებული არასასოფლო- სამეურნეო მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი 34.07.47.168)
ობიექტის განთავსების GPS კოორდინატი	X - 286073, Y - 4671826
საპროექტო წარმადობა	800 000 ლ/წელ
ავზების ჯამური მოცულობა	50 მ³
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	300
ტექნოლოგიური პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში, სთ	8 სთ

2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა

შპს „ჯი 2 ჯგუფის“ დიზელის ავზების განთავსება დაგეგმილია იჯარით აღებული (დანართი 2) არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 34.07.74.168, ფართობი 2001 მ²) (ნახაზი1). იგი განთავსებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტში სოფ. იანეთის ტერიტორიაზე, ქუთაისი - სამტრედიის საავტომობილო გზის სამხრეთით.



ნახაზი 2.1.

ტერიტორიას აღმოსავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება შპს „იქსენერჯის“ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, ჩრდილოეთით თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზა, დასავლეთით საერთო სარგებლობის გრუნტის გზა, გზის მეორემხარეს განთავსებულია სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და სოკარ-ჯორჯია პეტროლიუმის არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი. დიზელის ავზების განთავსება დაგეგმილია ტერიტორიის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში.

საპროექტო ტერიტორიების წვეროთა ნუმერაცია და GPS კოორდინატები მოცემულია 2.2. ნახაზზე და 2.1 და 2.2. ცხრილებში.

ნახაზი 2.2. საწარმოს განთავსების ტერიტორიის წვეროთა ნუმერაცია

ცხრილი 2.1. ნაკვეთი 34.07.47.168

N	X	Y
1	286009	4771836
2	286016	4671807
3	286081	4671822
4	286074	4671851

ცხრრილი 2.2. საპროექტო ტერიტორია

N	X	Y
3	286081	4671822
5	286080	4671827
6	286073	4671826
7	286074	4671821

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სამრეწველო ზონაში, ყოფილი სამტრედიის საგზაოს ტერიტორიაზე (ნახაზი 2.3). ამჟამად ტერიტორიაზე განთავსებულია ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოები, ბეტონის კვანძი, ადმინისტრაციული შენობა, მთლიანი ტერიტორია შემოღობილია 3 მ-მდე სიმაღლის ბეტონის ღობით.

ნახაზი 2.3.

საპროექტო ტერიტრიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს დასავლეთით, სოფ. ახალსოფელი, უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 200 მ-ით.

იგივე მიმართულებით, 110 მ-ის დაშორებით განთავსებულია სოკარ-ჯორჯია პეტროლიუმის ავტოგასამართი სადგური.

ტერიტორიის განთავსების სიტუაციური გეგმა მოცემულია ნახაზზე 2.4.


სოკარ ჯორჯია
პეტროლიუმის აგს
იქსეწერჯის ნაკვეთი
34.07.47.168
საპროექტო
ტერიტორია
უახლოესი
საცხოვრებელი
200 მ
ქვიშახრეშის
სამსხვრევი
NAPR

ნახაზი 2.4.

საპროექტო ტერიტორია წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამეწარმეო დანიშნულებით, სამშენებლო მასალების დროებით დასასაწყობებლად. ე-60 ავტობანის სამტრედია - ზესტაფონის მონაკვეთის მშენებლობის დროს მასზე განთავსებული იყო ლითონის კონსტრუქციების საწყობი. ამჟამად ტერიტორია თავისუფალია.

ტერიტორიაზე მისასვლელი გზა შემოდის დასავლეთის მხრიდან.

3. დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური პარამეტრები

საქმიანობის მიზანს წარმოადგენს დიზელის საწვავის შენახვა, საკუთარი მოხმარების მიზნით. კომპანიას დაგეგმილი აქვს საპროექტო მიწის ნაკვეთზე განათავსოს 2 მიწისზედა რეზერვუარი, თითოეულის მოცულობა იქნება 25 მ³. ჯამური მოცულობით 50 მ³.

წლის განმავლობაში ობიექტზე გათვალისწინებულია 800 000 ლ. დიზელის შენახვა/მოხმარება. ობიექტის სამუშაო გრაფიკი იქნება 300 დღე წელიწადში, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

რეზერვუარების განთავსება მოხდება მობეტონებულ ბაქანზე ბეტონის ბალიშებზე, ბაქანი შემოზღუდული იქნება ბეტონის კედლებით. ავზები გადაიხურება ლითონის საყრდენებზე დაფუძნებული თუნუქის სახურავით. ავზები აღჭურვილი იქნება სასუნთქი სარქველებით.

ავზებიდან დიზელის გაცემის მიზნით დამონტაჟდება ერთი სვეტი, ერთი ფისტოლეტით.

საწვავის გასაცემი მოედანი, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეკრების მიზნით, აღჭურვილი იქნება სანიაღვრე წყალშემკრები სისტემით და ნავთობპროდუქტების დამჭერით.

ავზების ექსპლუატაციისათვის დამატებით დამხმარე ნაგებობების მოწყობა არ იგეგმება. საწვავის გაცემას მოემსახურება ერთი თანამშრომელი, რომელიც ისარგებლებს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული, შპს „იქსენერჯის“ საყოფაცხოვრებო სათავსოთი.

საპროექტო ინფრასტრუქტურის ელემენტები მოცემულია ნახაზებზე 3.1. და 3.2.

ნახაზი 3.1. გეგმა



ნახაზი 3.2. ხედი - A



4. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმოს ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის (200 მ) და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

4.1. ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება

ობიექტის ფუნქციონირების დროს მოსალოდნელია ნახშირწყალბადების გამოყოფა და გაფრქვევა დიზელის საწვავის მიღებისა და გაცემისას. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435) შესაბამისად, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას დიზელის მიღება-შენახვა-რეალიზაციის დროს გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა შეადგენს 0,0025გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე.

ობიექტის ბიზნეს გეგმის შესაბამისად ნავარაუდევია წლიურად 800 000 ლ დიზელის საწვავის მიღება/რეალიზაცია.

აქედან გამომდინარე გამოყოფილი ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 800\,000 \times 0{,}0025/10^6 = 0{,}002 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 0{,}002 \times 10^6/(300 \times 8 \times 3600) = 0{,}00023 \text{ გ/წმ};$$

როგორც გაანგარიშების შედეგები აჩვენებს, გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა იმდენად მცირეა, ობიექტის ტერიოტორიაზე ნახშირწყალბადების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებს.

ამდენად ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება იქნება ძალიან დაბალი.

4.2. საწარმო ხმაურის ზემოქმედება

დიზელის ავზების ექსპლუატაციის პროცესი არ ითვალისწინებს ხმაურწარმომქმნელი მანქანა-დანადგარების განთავსებას და გამოყენებას. ობიექტზე ხმაურის წარმოქმნა შესაძლებელია მხოლოდ ავტოტრანსპორტის გადაადგილებით, დიზელის შემოტანა/შენახვისა და ავტომობილების გამართვის დროს. ავზების მოცულობისა და დაგეგმილი წარმადობის შესაბამისად, დიზელის საწვავის მიღება–შენახვის ინტენსივობა შეადგენს წელიწადში მაქიმუმ 20–ს, თვეში საშუალოდ 1დან 2-მდე.

ავზების მოწყობა იგეგმება შიდა მოხმარებისათვის, დიზელის გაცემა დამატებით ხმაურს არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება არ არის მოსალოდნელი.

4.3. ზემოქმედება ლანდშაფტზე

საწარმოს განთავსება დაგეგმილია წლების წინ სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე. მასზე წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა სამტრედიის საგზაო. ამჟამად ტერიტორია ყველა მხრიდან შემოღობილია მასიური ბეტონის ღობით და მგრძნობიარე რეცეპტორებიდან არ ჩანს. ტერიტორიაზე ლანდშაფტი მთლიანად ანთროპოგენურია, ამიტომ დიზელის ავზების მოწყობა მნიშვნელოვან გავლენას ლანდშაფტზე ვერ მოახდენს.

საპროექტო ტერიტორიას გარს ეკვრის სხვადასხვა პროფილის საწარმოები. ჩრდილოეთიდან უშუალოდ ესაზღვრება თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალი, გამორიცხულია ბუნებრივ ლანდშაფტზე, ფლორასა და ფაუნაზე დამატებითი უარყოფითი გავლენის მოხდენა.

4.4. ზემოქმედება წყლის რესურსებზე

დიზელის ავზების ექსპლუატაციით წყლის რესურსებზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში წყალი არ გამოიყენება, შესაბამისად არ წარმოიქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები.

რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, ავზების განთავსების ტერიტორია გადახურული იქნება თუნუქის სახურავით შესაბამისად მოსალოდნელი არ არის ავზების ტერიტორიიდან სანიაღვრე წყლების წარმოქმნა. გასამართი სვეტის ტერიტორია იქნება მობეტონებული და აღჭურვილი შემკრები არხებით და ნავთობდამჭერით, შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების დაჭერის მიზნით.

ზემოაღნიშნულისდან გამომდიარე ობიექტის ექსპლუატაციით ზედაპირული წყლის რესურსების დაბინძურების რისკი ძალიან დაბალია.

4.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები

დიზელის ავზების ექსპლუატაციის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

ნარჩენების წარმოქმნა შესაძლებელია ნავთობპროდუქტების შემთხვევით დაღვრის შემთხვევაში და გასამართი მოედნის ნავთობდამჭერის მომსახურეობის შედეგად (წელიწადში 1ლ.-მდე ნავთობიანი წყალი). ნარჩენები შეგროვებული იქნება სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით მარკირებულ კონტეინერებში, დროებით დასაწყობდება ნარჩენების დახურულ სათავსოში და გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტაქტორს.

გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში ნარჩენების წარმოქმნისა და გარემოს დაბინძურების რისკი ძალიან დაბალია.

4.6. ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე

დაგეგმილი წარმადობის შესაბამისად, დიზელის შემოტანა-ჩასხმა ობიექტზე მოხდება 20 -ჯერ, რაც თვეში შეადგენს 1-დან 2-მდე ინტენსივობას, რაც ობექტის განთავსების გათვალისწინებით შეუმჩნეველი იქნება მოსახლეობისთვის და გზის ინფრასტრუქტურისათვის.

დიზელის ავზების მოწყობა დაგეგმილია შიდა მოხმარებისათვის, იგი მოემსახურება კომპანიის ავტოტრანსპორტს, შესაბამისად მისი ფუნქციონირების შედეგად სატრანსპორტო ნაკადების გაზრდა არ მოხდება.

ზემოაღნიშნლის გათვალისწინებით სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმრდება მოსალოდნელი არ არის.

4.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საპროექტო ობიექტის განთავსების ადგილის სიახლოვეს დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

4.8. სოციალურ ეკონომიკურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

დიზელის ავზების მოწყობა დაგეგმილია კომპანიის შიდა მოხმარებისათვის, მისი მოწყობით მოხდება კომპანიის ტექნიკის მუშაობის ოპტიმიზაცია, საწვავის მარაგის შექმნა, დროისა და რესურსების დაზოგვა.

ობიექტის ექსპლუატაციისათვის საჭირო იქნება ერთი თანამშრომლის დამატება.

ამდენად, პირდაპირი, მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელი არ არის.

4.9. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე

საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში ადამიანების (იგულისხმება როგორც მომსახურე პერსონალი, ასევე მიმდებარე მაცხოვრებლები) ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის. ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელია შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევისა და გაუფრთხოლებლობით შექმნილი ავარიული სიტუაციების შემთხვევაში.

ობიექტზე დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების წესები, თვალსაჩინო ადგილზე განთავსდება სათანადო უსაფრთხოების ნიშნები. შეზღუდული იქნება ავტომანქანების გადაადგილების სიჩქარე.

უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკი იქნება დაბალი.

4.10. ავარიული რისკები

მიუხედავად იმისა, რომ ობიექტი წარმოადგენს მცირე მოცულობისა და წარმადობის დიზელის შესანახ ავზებს, მაინც არსებობს ავარიული სიტუაციების რისკი. შესაბამისად კომპანია მზად უნდა იყოს შესაძლო ავარიების პრევენციისა და ლიკვიდაციისათვის.

ავარიის პრევენცია და ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად, რომლის მიზანია მომსახურე პერსონალის, მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა.

შესაძლო ავარიებიდან საწარმოსათვის ყველაზე სენსიტიურია ხანძარი, რომლის ლიკვიდაცია და რეაგირება საჭიროა სათანადო სამსახურთან შეთანხმებული სახანძრო უსაფრთხოების გეგმის შესაბამისად.

დიზელის ავზების განთავსების პროექტის შედგენა მოხდება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად:

ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილზე განთავსდება სახანძრო უსაფრთხოების სტენდი, რომელზედაც მოთავსებული იქნება საჭირო რაოდენობის ცეცხლმაქრი და სხვა ინვენტარი.

ტექნოლოგიურ მოწყობილობაზე დაყენებული იქნება ხანძრის შემთხვევაში ავტომატური ჩამკეტი სისტემები.

შედგენილი იქნება ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა, რომელშიც შეტანილი იქნება უახლოესი წყლის წყაროების გეგმა-სქემა მანძილების და წყლის წყაროების დებიტების აღნიშვნით; თანამშრომლებისათვის მომზადებული იქნება სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქციები;

დაღვრილი ნავთობპროდუქტები უნდა დაიფაროს სორბენტით. სორბენტი და გაზეთილი საწმენდი მასალები უნდა შეგროვდეს ნაპერწკალუსაფრთხო ხუფების მქონე ლითონის ყუთებში და შევსებისთანავე გატანილ იქნას ტერიტორიიდან;

არ მოხდება რეზერვუარების საწვავით შევსება და გაცემა ჭექა-ქუხილის და ატმოსფერული განმუხტვის საშიშროების არსებობის დროს;

დაუშვებელია მომსახურე პერსონალის საწვავით დაბინძურებული და ნაპერწკლების წარმოქმნის საშიშროების მქონე ტანსაცმლით და ფეხსაცმლით მუშაობა;

ხანძარსაშიში სიტუაციებისა და ხანძრების ლოკალიზაციის და ლიკვიდაციის გეგმა უნდა იყოს შემუშავებული შესაძლო ხანძარსაშიში სიტუაციების, მათი განვითარების სცენარის, ავტოგასამართი სადგურების და კომპლექსის მომსახურე პერსონალის და ავტოცისტერნის მძღოლის მოქმედების, აგრეთვე ხანძრის გავრცელების შესაბამის სტადიებზე მომსახურე პერსონალის სახანძრო-სამაშველო დანაყოფებთან ურთიერთმოქმედების წესის გათვალისწინებიით.

დიზელის გასამართის მომსახურე პერსონალს და ავტოცისტერნების მძღოლებს არანაკლებ 6 თვეში ერთხელ უნდა ჩაუტარდეს ტრენინგები ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო სიტუაციების ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, თითოეული კონკრეტული სიტუაციის გავარჯიშებით და შესაბამისი შედეგების სპეციალურ ჟურნალში დარეგისტრირებით.

ავზების განთავსების ტერიტორიაზე თამბაქოს მოწევა აკრძალულია.

ზემოაღნიშული წესებისა და მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში ავარიული სიტუაციების აღმოცენებისა და გავრცელების რისკი იქნება ძალიან დაბალი.

4.11. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. ამდენად, კუმულაციური ზემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ჯამური ეფექტის მქონე ემისისების შემთხვევაში.

კუმულაციური ზემოქმედებიდან აღსანიშნავია:

- მავნე ნივთიერებათა ემისიები ატმოსფერულ ჰაერში;
- ხმაურის გავრცელება;
- ზედაპირული წყლების დაბინძურება;
- საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენებით გარემოს დაბინძურება.

საპროექტო დიზელის საცავიდან უახლოესი ჯამური ემისიების ობიექტი, სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის ავტოგასამართი სადგური განთავსებულია დასავლეთით 110 მ-ის დაშორებით. საპროექტო ობიექტი გათვალისწინებულია მხოლოდ დიზელის შენახვა-გაცემისათვის, ნახშირწყალბადების გამოყოფის ინტენსივობა შეადგენა 0,00023 გრ/წმ, რაც იმდენად მცირეა, რომ საპროექტო ავზების ტერიტორიაზე ვერ მიაღწევს ზდკ-ს მნიშვნელობას, შესაბამისად არსებულ ავტოგასამართ სადგურთან მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

ობიექტზე არ იგეგმება ხმაურწარმომქმნელი წყაროს დამონტაჟება, შესაბამისად ხმაურზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დიზელის ავზების განთავსების ტერიტორია იქნება გადახურული ატმოსფერული ნალექებისაგან დაცვის მიზნით, შესაბამისად ზედაპირულ წყლების დაბინძურება მოსალოდნელი არ არის, შესაბამისად ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი და შემარბილებელ ღონისძიებებს არ საჭიროებს.

4.12. ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საპროექტო ობიექტის მდებარეობის, საქმიანობის ტიპისა და მასშტაბის გათვალისწინებთ ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დანართები

დანართი 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

N 34.07.47.168

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია	მოქმედების თარიღი
N 882021345152 - 29/04/2021 14:11:28	02/05/2021 15:56:09

საკუთრების განყოფილება

მონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
სამგრეველო	ინგილო		
34	07	47	168

მისამართი: რაიონი სამგრეველო , სოფელი ინგილო

ნაკვეთის საკუთრების გვარი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაშუშტებული ფართობი: 2001.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:34.07.47.024;

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019448423 , თარიღი 07/06/2019 11:28:30
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/06/2019

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:18/06/2019, ნოქარიუსის ოფისიის სამსახურის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:17/06/2019, ნოქარიუსის ოფისიის სამსახურის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მესაკუთრეები:
შპს "ოქსენერვი" , ID ნომერი:405055327

მესაკუთრე:
შპს "ოქსენერვი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

- აკრძალვა: 102020031786 23/01/2020 11:59:13
  შპს ოქსენერვი ს/ნ 405055327
  საგანი: უძრავი ნივთი: რაიონი სამგრეველო , სოფელი ინგილო, 34.07.47.168, აკრძალვის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დაგირავება.
  საფუძველი: განჩინება, N2/992-20, 17.01.2020, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
- აკრძალვა: 102021110955 24/03/2021 16:17:39

შპს იქსენერჯი ს/ნ 405055327
საგანი: უძრავი ნივთი: რაიონი სამგრეხელია, სოფელი იანეთი, 34.07.47.168, აეკრძალოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისება და იპოთეკით დაგირავება.
საფუძველი: განჩინება, N2/5343-21, 15.03.2021, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მიწიერი ნაკვეთის რეალიზაციის, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სამკვიდრო მიღების სამეწარმეო გადასახადი გადახდის განცხადებლებისა საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი ისევე ვალის წარდგენის დეკლარაციის საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეტანილობაა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული საგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გეოგრაფიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და საჯარო აუდიტორიებულ პირებთან;
- ამონაწერის ელექტრონული ხელმოწერის შემოწმებისა დაფიქსირებული: 2 405405 ან პირადად შეიტანი გთხოვთ ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომლებია მზრუნველ ეროვნული ნომერი ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტაზე: info@napr.gov.ge

დანართი 2. იჯარის ხელშეკრულება

იჯარის ხელშეკრულება

ქ. სამტრედია 25 ნოემბერი 2021 წ.

ერთი მხრივ **შპს "იქსენერჯი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ახობაძის** სახით, (შემდგომში _ „მეიჯარე"), და მეორეს მხრივ **შპს "ჯი 2 ჯგუფი"** (შემდგომში „მოიჯარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსი გელაძის** სახით, საქართველოს კანონმდებლობისა და ნების თავისუფალი გამოვლენის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე იღებს იჯარით მეიჯარის საკუთრებაში არსებულ შემდეგ უძრავ ქონების ნაწილს ("შემდგომში იჯარის საგანი"):

1.1.1 ქ. სამტრედიაში, სოფ იანეთში მდებარე 20 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთს, რომლის სარეგისტრაციო მახასიათებლებია:

ზონა – სამტრედია 34;
სექტორი – იანეთი 07;
კვარტალი – 47;
ნაკვეთი – 168;
ნაკვეთის საკუთრების ტიპი – საკუთრება;
ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო სამეურნეო;
დაზუსტებული ფართობი – 2001.00 კვ.მ;
ნაკვეთის წინა ნომერი –34.07.47.024;
მისამართი – რაიონი სამტრედია, სოფელი იანეთი;
საკადასტრო კოდი – 34.07.47.168.

1.2 იჯარის საგანი მოიჯარის მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ მართლზომიერი კომერციული საქმიანობისათვის.

1.3 მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად.

2. იჯარის საგნის გადაცემის შესახებ

2.1. იჯარის საგანზე მფლობელობისა და სარგებლობის უფლება მოიჯარეს წარმოეშვება წინამდებარე ხელშეკრულების დადებისთანავე;

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების დადებით იჯარის საგანი მოიჯარეზე მფლობელობაში გადაცემულად მიიჩნევა, რაზედაც მხარეები დამატებით არ აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს;

2.3. მოიჯარე ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის მომეტისათვის სრულად იცნობს საიჯარო საგნის ნივთობრივ და უფლებრივ მდგომარეობას და სურს სწორედ ასეთი სახით მისი მიღება. წინამდებარე ხელშეკრულების დადების შემდგომ მოიჯარის მხრიდან პრეტენზია საიჯარო საგნის ნივთობრივ და სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით არ მიიღება.

2.4. ყოველგვარი ბუნდოვანებისა და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, იჯარის საგნით სარგებლობა წარმოადგენს მოიჯარის უფლებამოსილებას, რომლის

გამოუყენებლობა ან/და დაგვიანებით გამოყენება არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული საიჯარო ქირის გადახდაზე უარის თქმასა ან/და საიჯარო ქირის ოდენობის შემცირებასა და საიჯარო ქირის გადახდის ვადების ცვლილებას.

3. ხელშეკრულების მოქმედების ხანგრძლივობა

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 11 (თერთმეტი) თვის ვადით.

3.2. იჯარის ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით. იჯარის ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მხარეები შესაძლებელია შეთანხმდნენ არსებული საიჯარო ქირის ოდენობის შეცვლის თაობაზე.

3.3. იჯარის მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება იგივე ვადითა და პირობებით, თუ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარე 3.1. პუნქტში მითითებული ვადის გასვლამდე 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე არ გამოთქვამს ხელშეკრულების შეწყვეტისა ან/და მისი გადასინჯვის სურვილს. ეს წესი მოქმედებს ყოველი ვადის გასვლისას.

3.4. იჯარის ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისაგან. მოიჯარის მიერ გადასახდელი საიჯარო ქირა განსაზღვრულია ამ ხელშეკრულების 4.1 პუნქტით.

3.5. იჯარის ვადის გასვლისას თუ მხარეებს შორის არ გრძელდება სახელშეკრულებო ურთიერთობა, მოიჯარე ვალდებულია გამოანთავისუფლოს დროებით სარგებლობასა და მფლობელობაში გადაცემული იჯარის საგანი და ამისათვის არ არის აუცილებელი მეიჯარის წინასწარი წერილობითი ან ზეპირი მოთხოვნა და გადასცეს იგი მეიჯარეს იჯარის ვადის გასვლიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში, აღნიშნულ ვადაზე არ გადაიხდება საიჯარო ქირა. ქონების დაბრუნების შესახებ შედგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

3.6. იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე გადააცილებს ქონების დაბრუნების 3.5. მუხლში გათვალისწინებულ ვადას, იგი ვალდებული იქნება გადაიხადოს იჯარის ვადის გასვლიდან ქონების ფაქტიურ გადაცემამდე გასული დროისათვის შესაბამისი საიჯარო ქირა.

3.7. მეიჯარე უფლებამოსილია იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 (ათი) დღის გასვლის შემდგომ, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს იჯარის საგანი, წინააღმდეგ შემთხვევაში მეიჯარეს არ ეკისრება იჯარის საგანზე განთავსებული ქონების შენახვისა და მოვლის ვალდებულება და შესაბამისად მეიჯარე პასუხს არ აგებს გამოთავისუფლების შედეგად მოიჯარის ქონების შესაძლო დაკარგვა/განადგურებაზე. ამასთანავე, იჯარის საგნიდან გამოთავისუფლებული მოიჯარის ქონების თავისუფალი განთავსება განხორციელდება იმ ადგილებში, სადაც ეს დაშვებული იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით.

4. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების წესი

4.1. მოიჯარე პირველ მუხლში აღნიშნული ქონებით სარგებლობისათვის მეიჯარეს ყოველთვიურად უხდის საიჯარო ქირას, რომლის ოდენობა ყოველ ერთ საანგარიშო პერიოდზე (კონკრეტულ კალენდარულ თვეზე) შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4.2. მოიჯარეს მიერ ყოველთვიური საიჯარო ქირის გადახდა იწარმოებს ყოველი მიმდინარე საანგარიშო პერიოდის (კონკრეტული კალენდარული თვის) ბოლო საბანკო დღეს, საიჯარო ქირის სრული ოდენობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით;

4.3. საიჯარო ქირის გადახდა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, რომლის დროსაც პირველყოველისა იფარება პირგასამტეხლო (ასეთის არსებობისას) და შემგომ კი ძირითადი ფულადი ვალდებულება;

4.4. წინამდებარე ხელშეკრულების 4..2. პუნქტით დადგენილ ვადაში მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში მოიჯარეს მეიჯარის გადაწყვეტილებით შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების (გადაუხდელი თანხის) 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთანავე პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული უკვე არსებული ყველა ვადაგადაცილების დღე.

4.5. საიჯარო ქირა გადახდილ უნდა იქნეს უნაღდო ანგარიშსწორებით შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით: სს „თიბისი ბანკი" ა/ა GE44TB7360436080100003.

4.6. მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს მის მიერ მოხმარებული კომუნალური მომსახურების ღირებულება;

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მეიჯარე ვალდებულია:

5.1.1. მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მოიჯარეს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ იჯარის საგანი, ნამდვილად წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას და რომ მესამე პირებს არ გააჩნიათ უფლებები იჯარის საგანზე;

5.1.2. არ ჩაერიოს მოიჯარეს საქმიანობაში და ხელი შეუწყოს მოიჯარეს იჯარის საგნის შეუფერხებელ და შეუზღუდავ გამოყენებაში, თუკი სხვა რამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში;

5.1.3. დაუყოვნებლივ აღმოფხვრას ნივთობრივი და/ან უფლებრივი ნაკლი, რომლის გამოც მეიჯარეს ხელი ეშლება ქონებით სარგებლობაში;

5.1.4. ხელი შეუწყოს მოიჯარეს და გასცეს თანხმობა ნებისმიერ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობისთვის, რათა მოიჯარემ შესძლოს მისთვის საჭირო ნებართვების/ლიცენზიების მიღება;

5.2. მოიჯარე ვალდებულია:

5.2.1. დროულად გადაიხადოს საიჯარო ქირა;

5.2.2. გადაიხადოს მის მიერ იჯარის საგნით სარგებლობის დროს მოხმარებული ელექტროენერგიის და სხვ. კომუნალური გადასახადი;

5.2.3. შეინახოს იჯარის საგანი ნორმალურ და გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში;

5.2.4. გამოიყენოს იჯარის საგანი მხოლოდ ხელშეკრულების 1.3. ქვეპუნტით განსაზღვრული წესით.

5.2.5. დაუბრუნოს მეიჯარეს საიჯარო საგანი ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

5.2.6. მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე არ განახორციელოს საიჯარო ქონების რემონტი, მისი აღჭურვა სხვადასხვა მოუცილებადი ინვენტარით და აგრეთვე იჯარით გადაცემული ინვენტარის (ასეთის არსებობისას) გასხვისება. სხვა შემთხვევაში მას არ წარმოეშვება მეიჯარის მიმართ არანაირი მოთხოვნის უფლება კომპენსირებაზე;

5.2.7. იჯარის საგანზე კომერციული საქმიანობა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით; უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სრულად დაიცვას გარემოს დაცვითი მოთხოვნები/კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმები;

5.3. მოიჯარეს უფლება აქვს:

5.3.1. საკუთარი შეხედულებისამებრ და საჭიროებისამებრ მოაწყოს იჯარის საგანი, მხოლოდ მეიჯარესთან წინასწარი შეთანხმების შემდგომ;

5.3.2. უფლება აქვს გასცეს ამ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ფართი ქვეიჯარის საფუძველზე, მხოლოდ მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

5.3.3. შეთავაზოს მეიჯარეს მის ნაცვლად სხვა მოიჯარე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადით;

5.3.4. იჯარის საგნიდან მიიღოს ნაყოფი;

5.3.5. მიიღოს ნებისმიერი სახის ნებართვები და ლიცენზიები;

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისას, თუ ისინი გამოწვეულნი არიან დაუძლეველი ძალის შედეგად, კერძოდ, წყალდიდობით, მიწისძვრით, ხანძრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან სხვა ქმედებებით (ფორს-მაჟორული გარემოებები).

6.2. ვალდებულებათა შესრულება გადატანილი იქნება ფორს-მაჟორული სიტუაციის ლიკვიდაციამდე. მხარე, რომელსაც შეექმნა ხელშეკრულების შეუსრულებლობის მდგომარეობა ვალდებულია დაუყოვნებლი მაგრამ მათი დადგომიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წერილობითი ფორმით შეატყობინოს მეორე მხარეს მისი დადგომის შესახებ.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა, დავების გადაწყვეტა და დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ანდა არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტილი იქნეს მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის წინასწარ 10 დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის შემდგომ თუ მოიჯარის მხრიდან ადგილი ექნება ყოველთვიური საიჯარო ქირის ზედიზედ სამჯერ გადაუხდელობასა და/ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების უხეშ დარღვევას.

7.3. თუ მეიჯარე/უძრავი ქონების მესაკუთრე ადმინისტრაციული ორგანოსგან დაჯარიმდება მოიჯარის არამართლზომიერი ქმედებების გამო, მაშინ მეიჯარე უფლებამოსილია მოიჯარეს ჯარიმის სახით დააკისროს იმ ოდენობის თანხის (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით) გადახდის ვალდებულება მეიჯარის სასარგებლოდ, რა ოდენობითაც დაჯარიმებულია მეიჯარე და მოიჯარე ვალდებულია 10 საბანკო დღის განმავლობაში გადაიხადოს მეიჯარის მიერ დაკისრებული ჯარიმა.

7.4. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია ცალმხრივად ვადამდე შეწყვეტილი იქნეს ინიციატორი მხარის მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მეორე მხარისათვის შეწყვეტამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე შეტყობინების გაგზავნის გზით.

7.5. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავისა და უთანხმოების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო.

7.6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამ ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება უნდა შესრულდეს ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

7.7. ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას, თუ ბათილი დებულების მიუხედავად შესაძლებელი იქნება შეთანხმებული საგნის მიღწევა.

7.8. ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო პირი გადაეცემათ მხარეებს.

„მეიჯარე"

შპს „იქსენერჯი"
ს/კ: 405055327
სამტრედია, იანეთი
სს „თიბისი ბანკი"
ა/ა GE44TB7360436080100003

გიორგი ახობაძე
დირექტორი

„მოიჯარე"

შპს „ჯი 2 ჯგუფი"
ს/კ: 406294549
ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ჩიხი ახვლედიანი N 6ა

ალექსი გელაძე
დირექტორი